საქართველოს იუსტიციის მინისტრი

ბრძანება №397

KA010121394985621

თბილისი

30 / აგვისტო / 2021 წ.

„საგრანტო პროგრამა №001-2021-ის – „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერება, ინოვაციური სერვისების დანერგვა, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ხელშეწყობა და დანაშაულის ეფექტიანი პრევენცია“ – დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 29 ივლისის №347 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ებ:

1. „საგრანტო პროგრამა № 001-2021-ის – „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერება, ინოვაციური სერვისების დანერგვა, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ხელშეწყობა და დანაშაულის ეფექტიანი პრევენცია“ – დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 29 ივლისის №347 ბრძანებით დამტკიცებული საგრანტო პროგრამის მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. მნიშვნელოვანი ვადები

საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების გამოქვეყნება	არაუგვიანეს 2021 წლის 30 ივლისისა
საგრანტო განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადა	განსაზღვრავს საგრანტო საბჭო, მაგრამ არაუგვიანეს 2021 წლის 30 სექტემბრისა
საგრანტო განაცხადის შეფასება და გადაწყვეტილების გამოქვეყნება	არაუგვიანეს 2021 წლის 14 ოქტომბრისა
საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება	არაუგვიანეს 2021 წლის 30 ოქტომბრისა
საგრანტო ვადა	საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებიდან 3-6 თვე.“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

რატი ბრეგაძე